

ხელოვნებისა და რეწვის ინსტრუმენტარიუმი



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



პროექტ 50+ შესახებ

ტრადიციისა და შემოქმედებისადმი გატაცება, მემკვიდრეობა და საკუთარი თავის გამოხატვის სურვილი ხელშესახები ნივთების შექმნით ის ძირითადი მახასიათებლებია, რომელიც მხატვრული რენვის სექტორს გამოარჩევს. მხატვრული რენვას გამორჩეულს ოსტატები ემნიან, უფრო სწორად, ოსტატების მიერ განხორციელებული საქმიანობა. მათი მუშაობა არ უნდა შემოიფარგლოს სახელოსნოში განხორციელებული შემოქმედებითი საქმიანობით, არამედ უნდა აწარმოონ ყოვლისმომცველი ბიზნესი.

ეს სექტორი მოიცავს ძალიან ჰეტეროგენულ საქმიანობას, რომელსაც პროფესიონალები ახორციელებენ ზოგჯერ არაფორმალურად, ნახევარგანაკვეთზე ან შაბათ-კვირას. ამას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება განსაზღვრავდეს, დაწყებული მკაცრი ბიუროკრატიით, მრავალრიცხოვანი მოთხოვნებით და ახალი საუკუნის გამოწვევებით დამთავრებული. ამ გამოწვევებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია ციფრული ტექნოლოგიების უნარების ფლობა, რაც, ერთის მხრივ, შეიძლება დაეხმაროს პროდუქციის ინოვაციის პროცესში, ტრენინგებსა და დაფინანსების მოპოვებაში, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია ციფრულ ბაზარზე მათი პროდუქციის პოპულარიზაციისთვის. თუმცა, ეს სირთულეები შეიძლება კიდევ უფრო აქტუალური იყოს 50 წელზე ასაკოვანი ოსტატებისთვის. ამ ასაკობრივ ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული განათლება, მაგრამ საკმარისად ვერ ფლობდეს თანამედროვე მარკეტინგულ ინსტრუმენტებსა და ციფრულ უნარებს, რომლებიც გადამწყვეტია ბიზნესის ხილვადობისა და შემოსავლების გაზრდისთვის.

აქედან გამომდინარე, ტრანსნაციონალურმა პარტნიორობამ, რომელშიც ჩართულია 7 პარტნიორი ორგანიზაცია იტალიიდან, პორტუგალიიდან, ბელგიიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, კვიპროსიდან და საქართველოდან, შეიმუშავა Craft50+, საერთაშორისო პროექტი, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის მიერ. იგი მიზნად ისახავს ასაკოვანი ოსტატებისთვის ციფრული უნარების გაძლიერებით, მათი პროდუქციის ხილვადობის გაზრდას და ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მეტ შეჯერებას ტრადიციულ გამოცდილებასთან.



The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

პარტნიორები

Craft50+ პროექტი აერთიანებს შვიდ პარტნიორ ორგანიზაციას, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება ტრადიციული რეწვისა და ხელნაკეთობათა ვალორიზაციასა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაში. ისინი მხარს უჭერენ 50+ ადამიანთა სოციალურ ჩართულობას მათთვის ახალი უნარების შესწავლით

პარტნიორი ორგანიზაციებია:

Anziani e non solo

(პროექტის კოორდინატორი ორგანიზაცია)
იტალია

2004 წლიდან ორგანიზაცია მუშაობს ასაკოვანი საზოგადოებისთვის სოციალური კოოპერაციისა და ინოვაციის პროგრამებზე. ANS ავითარებს ხანდაზმულთა გაძლიერებისა და სოციალური ინკლუზიის მხარდასაჭერ პროგრამებს, მათ შორის ციფრული უნარების გაძლიერება.

Aproximar

პორტუგალია

არასამთავრობო ორგანიზაციის მიზანია ორგანიზაციების სოციალური და ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, მათი შესაძლებლობების გაზრდის საფუძველზე. აგრეთვე მუშაობს, აქტიური სიბერის, სოციალური ეკონომიკის, მეწარმეობისა და დასაქმების სფეროებში.

Assoc

რუმინეთი

არაკომერციული ორგანიზაცია დაარსდა 1995 წელს, ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას და აუმჯობესებს მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების პირობებს განათლების პროგრამებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზებით. 25 წელია ASSOC მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბოშათა თემების, მიგრანტებისა და ლტოლვილების, მოხუცებისა და ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელებაზე

Balkanplan

ბულგარეთი

სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, ტექნიკურ მხარდაჭერას და პროექტის განხორციელებას შემდეგი მიმართულებებით: განათლება და ტრენინგი; კომპიუტერული ტექნოლოგიები; კვლევა და ტექნოლოგიური განვითარება; საერთაშორისო ურთიერთობები.

Magnetar

კვიპროსი

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა უკავშირდება ეროვნულ და ევროკავშირის მიერ თანა დაფინანსებულ პროექტებს ეკონომიკისა და განვითარების სხვადასხვა სექტორში.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი საქართველო

ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც მუშაობს ქართული კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაციასა და მდგრად განვითარებაზე.

Mad'in Europe

ბელგია

ბრიუსელში დაფუძნებულ ორგანიზაციას თავის წვლილი შეაქვს ტრადიციული რეწვის სფეროში ცოდნის და გამოცდილების დაცვა, გაღრმავებასა და განვითარებაში

მხატვრული

რეწვა

მოგ წაურობაა



სარჩევი

Craft50+ პროექტის შესახებ		2	
განხორციელებული ღონისძიებები		6	
ინსტრუმენტარიუმის შესახებ		7	
ევროპული მემკვიდრეობა: პარტნიორი ქვეყნების ტიპიური ხელობა			
ბელგია (Mad'in Europe)	10	ბულგარეთი (Balkanplan)	11
კვიპროსი (Magnetar)	12	საქართველო (GACC)	13
იტალია (ANS)	14	პორტუგალია (Aproximar)	15
რუმინეთი (Assoc)	16		
მხატვრული რენვის პროფესიონალების შესახებ			
ხის მხატვრული დამუშავება	18	სამკაული	24
თექსტილი	30	მუსიკალური ინსტრუმენტები	43
დეკორატიული ხელნაკეთობები	46	ლითონი	54
კერამიკა	56	სხვა	61
შეჯამება			68

What we did

Craft50+ პროექტმა ასაკოვანი ოსტატების მხარდასაჭერის მიზნით შემდეგი აქტივობები განახორციელა და შედეგები გამოაქვეყნა:

🌐 **სახელმძღვანელო**, ხელმისაწვდომია პროექტში მონაწილე ყველა პარტნიორი ორგანიზაციის ენაზე. აქ თავმოყრილია ინფორმაცია:

თითოეული ქვეყნის საუკეთესო გამოცდილებისა და კონკრეტული მაგალითების კვლევა, რეწვის ბიზნესის დაწყებისა და გაძლიერებისთვის მხარდაჭერის მიზნით;

ქვეყანაში არებული მსგავსი ორგანიზაციების მაგალითები, დაფინასების შესაძლებლობები; ციფრული და პროფესიული უნარების გაძლიერების შესაძლებლობები;

პარტნიორი ქვეყნების ეროვნული პოლიტიკასა და კანონმდებლობების ნიმუშები არსებული სამართლებრივი გამოწვევებით;

საგზაო რუკა, რომელიც ვიზუალურად გვთავაზობს წარმატებული და ინოვაციური მხატვრული რეწვის ბიზნესის შექმნის პროცესის მიმოხილვას, 50 წელზე უფრო ასაკოვანი ოსტატებისთვის

🌐 **სასწავლო რესურსები** მიზნად ისახავს ოსტატების ბიზნესის გაძლიერებას ციფრული უნარების გაღრმავებით. ეს კურსი პროფესიონალებს საშუალებას აძლევს გაიგონ მეტი ციფრული შესაძლებლობების შესახებ, ბიზნეს შესაძლებლობებისა და მარკეტინგული სტრატეგიების გაძლიერების მიზნით. საპილოტე ტრენინგი წარმატებით ჩატარდა ყველა პარტნიორ ქვეყანაში და ახლა უკვე შესაძლებელია მისი ფართოდ გამოყენება ევროპის მასშტაბით.



ინსტრუმენტარიუმის შესახებ

სხვადასხვა ქვეყანა გამოირჩევა მხატვრული რენჯის ნიმუშებით. მაგალითად იტალია გამორჩეულია ბუნებრივ ქსოვლიზე ნაქარგობით; პორტუგალია - შალის სათამაშოებით, თექის შარფით, ხელით ნაქსოვი ფეხსაცმელით; საქართველო - კერამიკით; ბულგარეთი კი - ხის მხატვრული დამუშავებით. მიუხედავად სინგულარობისა, ისინი იზიარებენ იგივე შებენიერებას, რაც ეხება სიცოცხლის შენარჩუნებას, ცოდნის გადაცემას ახალგაზრდა თაობებისთვის ან ახალ ბიზნეს ბაზრებზე ადაპტაციას, რითაც ხდება ევროპული კულტურულ მემკვიდრეობას და იდენტობას დაფასება და შენარჩუნება.

პროექტის მიზნებს შორის იყო ამ ცოდნისა და ხელოვნების აქტივობების შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში წვლილის შეტანა, ვიზუალური და ციფრული ინსტრუმენტარიუმის შექმნით. ამ ინსტრუმენტარიუმის საშუალებით მკითხველი გაეცნობა Craft50+ პროექტსა და მისი შედეგებს. აგრეთვე იხილავს პროექტში მონაწილე ქვეყნების ტიპიური ხელნაკეთობებს და პროექტის აქტივობებში ჩართული ოსატეხების შესახებ მოკლე ინფორმაციას.

პირადი მაგალითების გაცნობა იძლევა შესაძლებლობა აჩვენო, თუ რა არის ხელობა და ხელსაქმე ევროპაში, რა ღირებულება და მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნებისა და ადამიანების ცხოვრებაში.

როგორ გამოვიყენოთ ეს რესურსი

შესავალის დასრულებისას, თქვენ გადახვალთ Craft50+ მხატვრული რენჯის ოსტატების ვიზუალურ პროფილებზე. მათი პორტრეტისა და საქმიანობის მოკლე აღწერით, გვინდა გაგიზიაროთ ოსტატებისთვის ემოქმედებითი პროცესის მნიშვნელობა.


თუმცა, ჩვენ ასევე გვინდოდა, რომ პროექტის მონაწილეებს ნამუშევრების საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ამიტომაც შევქმენით მონაცემთა ბაზა, სადაც უფრო დეტალური ინფორმაცია არის ატვირთული.

იმისათვის, რომ ადვილად მიიღოთ ეს დამატებითი ინფორმაცია, შეგიძლიათ გამოიყენოთ QR კოდები, რომლებსაც ნახავთ თითოეული პორტრეტის გვერდით. თუ იყენებთ Android ტელეფონს ან ტაბლეტს: გახსენით ჩაშენებული კამერის აპლიკაცია. მიმართეთ კამერა QR კოდს. შეეხეთ ბანერს, რომელიც გამოჩნდება თქვენს Android ტელეფონზე ან პლანშეტზე და ხელახლა გადამისამართდებით ოსტატის ციფრულ პროფილზე გადახვალთ.


თუ იყენებთ iOS ტელეფონს ან ტაბლეტს: გახსენით კამერის აპი საწყისი ეკრანიდან, მართვის ცენტრიდან ან ჩაკეტილი ეკრანიდან. აირჩიეთ უკანა კამერა. დაიჭირეთ მონაცემები ისე, რომ QR კოდი გამოჩნდეს კამერის აპის ხედის საძიებელში. თქვენი მონაცემები ცნობს QR კოდს და აჩვენებს შეტყობინებას. შეეხეთ შეტყობინებას QR კოდთან დაკავშირებული ბმულის გასახსნელად და ხელახლა გადამისამართდებით ხელოსნის ციფრულ პროფილზე.

თუ თქვენ გირჩევნიათ პროფილების დათვალიერება პირდაპირ თქვენი კომპიუტერიდან, შეგიძლიათ უბრალოდ გამოიყენოთ ბმულები, რომლებსაც ნახავთ ამ დოკუმენტში, როგორც დანართი.

მხატვრული
რენვის
ოსტატების
ვიზუალური
რუკა,
რომლებიც
მონაწილეობენ
50+ პროექტში



**ევროპული
მემკვიდრეობა:
პარტნიორი
ქვეყნების
დამაასიათებელი
მხატვრული რენჟა**





ALAIN LOVENBERG

ელგია (Mad'in Europe)

მხატვრული რეწვა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ბელგიის ეკონომიკური განვითარებისთვის. მაქმანის დამზადების და ბრილიანტის ქრის ხელოვნება ფლანდრიის, მისი ჰოლანდიურენოვანი რეგიონისთვის გამორჩეულია, ხოლო ვალონიას, ფრანგულენოვან ნაწილს, აქვს მინის დამზადების ხანგრძლივი ტრადიცია. ბელგია ასევე წარმოადგენს არტ ნუვოს და არტ დეკოს არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინს; სადაც მაღალკვალიფიციური ხელოსნების წილი შენობების ყველა ნაწილის, იქნება ეს შიგნით და გარეთ მდიდრულ დეკორირებაში უდიდესია. მათ დაამზადეს გამორჩეული ვიტრაჟები, ავეჯი, კიბეები, სგრაფიტოები, გრავირებული ლითონის ნაჭრები, მოჩუქურთმებული ხის ნაჭრები, მინის ფრანგემენტები და მრავალი სხვა, რითაც წვლილი შეიტანეს ბელგიის მდიდარი მემკვიდრეობის შექმნაში. ასეთი მაგალითია **არქიტექტორ ვიქტორ ჰორტას (ბრიუსელი)** გამორჩეული ქალაქის სახლები, რომლებიც შეტანილია **იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში**. ბელგიის ტექსტილის მემკვიდრეობა ასევე ძალიან ტიპურია, როდესაც ვსაუბრობთ ბელგიურ ნოუ-ჰაუს ხელოსნობის სფეროში. “მხატვრული რეწვის” ეტიკეტი ბელგიის კანონმდებლობაში სულ ახლახანს (2016) იქნა ჩასმული. მისი მიხედვით, ოსტატი არის „...ნივთის წარმოებაში, ტრანსფორმაციაში, შეკეთებაში, რესტავრაციაში ან მომსახურების გაწევაში. ოსტატის საქმიანობა არსებითად ხელით ხორციელდება, ავითარებს გარკვეულ ნოუჰაუს ხარისხზე, ტრადიციაზე, შემოქმედებასა ან ინოვაცია დაყრდნობით”.



ALAIN LOVENBERG



ჭიბის სახელმძღვანელოში გაცნობით მეტს ბელგიაში არსებული მხატვრული რეწვის მდგომარეობის შესახებ.




ბულგარეთი (Balkanplan)

ბულგარეთის ეროვნული სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, 2020 წელს რეგისტრირებული იყო 398 ოსტატი/ხელოსანი. ბულგარეთში მხატვრული რეწვის შესახებ კანონი შეიცავს 57 სახის ხელოსნობის ჩამონათვალს, რომლებიც იყოფა 2 ძირითად ჯგუფად: 1/ ტრადიციული (ხალხური) ხელოვნება და ხელნაკეთობები და 2/ სხვა (როგორიცაა ზარის ჩამოსხმა, მინის გამობერვა, მინის მხატვრობა და გრაფიკა). მათ შორის ტერიტორიულად ყველაზე სპეციფიკურია დანების დამზადება და სპილენძის სამჭედლო. ეს დარგები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქ კოსტენეცასთან (სამხრეთ-დასავლეთ ბულგარეთი), ხის ხელოსნობა და ჭურჭელის დამზადება დაკავშირებულია ქალაქ ტრიავნასთან (ცენტრალურ ბულგარეთი). ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს ასევე აქვს ვერცხლის ნივთების დამზადების, ტყავის და მაქმანის წარმოების დიდი გამოცდილება. ეს ხელნაკეთობები დღესაც აქტიურად გამოიყენება. ოდებლაც, ხელნაკეთი ხალიჩების მოქსოვა ძალიან გავცელებული იყო ბულგარეთში. **ჩიპროვცში მოქსოვილი ხალიჩების ტრადიცია** შეტანილია **იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში**. მიუხედავად მათი ასეთი პოპულარობისა და აღიარებისა, ხალიჩის ქსოვის ხელობა, რომელსაც ტრადიციულად კილიმი ეწოდება, სამწუხაროდ მცირდება, ტრადიციის ერთი თაობიდან მეორეზე გადაცემის მოთხოვნის ნაკლებობის გამო. ბულგარეთში ხელოსნობა ძირითადად სოფლადაა დამახასიათებელი და, შესაბამისად, მათი გავლენა მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, ხელოსნობის სექტორი ბულგარეთში ძირითადად მხარდაჭერილია ევროკავშირის თანადაფინანსებული ოპერატიული პროგრამებით, რომლის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა



ჭიბის სახელმძღვანელოში
გაეცნობით მეტს ბულგარეთში
არსებული მხატვრული რეწვის
მდგომარეობის შესახებ.




კვიპროსი (Magnetar)

კვიპროსს აქვს ტრადიციული რენჯის მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორია, რომელიც ათასობით წლით თარიღდება და კუნძულის უძველესს ცივილიზაციებს უკავშირდება. ამ ტრადიციებიდან ბევრი თაობიდან თაობას გადაეცა და დღემდე გამოიყენება. ერთ-ერთი ხელობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გადავიდა, არის რთული, ხელით მოხატული კერამიკის ნაწარმის შექმნა, რომელიც კუნძულზე საუკუნეების მანძილზე კეთდებოდა. ასევე დიდი ხნის ისტორია აქვს ქსოვისა და ქარგვის ტრადიციას. ცნობილი **“Lefkaritika”** არის მთიან ლარნაკაში (ლარნაკა) სოფელ ლეფკარაში ხელნაკეთი მაქმანებით დამზადებული ნაქარგი თეთრეული. ეს ტრადიცია აღიარებულია და შეტანილია **იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი სუსხაში**. ქსოვის გამოცდილება ძალიან განვითარებული იყო ბიზანტიის დროს და დღემდე გამოიყენება პაფოსის (პაფოსის) სოფელ ფიტიში, რომელიც ქმნის ფერად გეომეტრიულ ტექსტურირებული დიზაინებს შეუღებაზე ბამბის ქსოვილზე, განსაკუთრებით მართკუთხა ხელსახოცებზე, სუფრის ტილოებსა და საწოლის გადასაფარებლებზე. კვიპროსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რენჯის სახეობა არის კალათების ქსოვა, რომელიც უძველესი დროიდან თარიღდება. მათი მთავარი დანიშნულება იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადატანა და ბოთლების „ჩაცმა“ სითხის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. კვიპროსი განთქმულია გაფორმებული გოგრის ხელნაკეთობებით, ნიადაგი დეკორატიულ ობიექტებად აქცევს; ასევე ფილიგრანული ხელოვნებისთვის, რომელიც ცნობილია როგორც “ტრიფური”. დელიკატური ხელნაკეთობა, რომელიც ახვევს წვრილ ვერცხლის მავთულს ლამაზ ხელნაკეთ სამკაულებში, დეკორატიულ დანაჩანგალს ან ქურჩელში. დღეს ეს ხელნაკეთობები აგრძელებს აყვავებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს კუნძულის ეკონომიკასა და კულტურულ მემკვიდრეობაში. ბევრი ხელნაკეთი პროდუქტი შეგიძლიათ იხილოთ ადგილობრივ მაღაზიებსა და ბაზრებში, ზოგიერთის ნახვა ასევე შეგიძლიათ მუზეუმებსა და გალერეებში. ამ ხელნაკეთობების მუდმივი პოპულარობა ადასტურებს იმ ადამიანების ოსტატობას, ოსტატობას და ერთგულებას, რომლებიც აგრძელებენ მათ წარმოებას. ხელოსნობის უწყვეტობაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანოა კვიპროსის ხელოსნობის ცენტრი, რომელიც იმართება ვაჭრობის, მრეწველობისა და ტურიზმის სამინისტროს ეგიდით.



ჭიბის სახელმძღვანელოში
გაეცნობით მეტს კვიპროსში
არსებული მხატვრული რენჯის
მდგომარეობის შესახებ.



საქართველო (ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი)

ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო საუკუნეების მანძილზე გამოირჩეოდა სხვადასხვა ხელოსნობისა და რეწვის ტრადიციებით. მხატვრული რეწვის დარგების, იქნებოდა ეს მეთუნეობა, ხის მხატვრული დამუშავება, ფარდაგების ქსოვა თუ ტექსტილი ზოგადად, შესრულების ტექნიკა, ფერთა გამა, ორნამენტი განხვავდებოდა რეგიონიდან რეგიონში საქართველოს რეგიონებში არსებული ძლიერი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს ქვეყნის ეთნოგრაფიულ მობაიკას და განსაკუთრებულ მიმზიდველობას. ხელნაკეთობების მრავალფეროვნების მიუხედავად, ტრადიციულად საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა სახლი მდიდრულად იყო მორთული ხის ჩუქურთმებით, ქსოვილითა თუ კერამიკული ნივთებით. მათი ძლიერი არსებობის გამო საქართველოში გამოცდილი ხელოსნები, ხელოსნები და დიზაინერები ყოველთვის დაფასებულნი იყვნენ. როგორც ტრადიციის წაწილი, ხელოსნობა განიხილებოდა, უფრო როგორც ოჯახური საქმიანობა, რომელიც გადადიოდა თაობიდან თაობას, ვიდრე ბიზნეს საწარმო. თუმცა, ეს აღქმა ნელ-ნელა იცვლება... არის პირველი კომპანიები, რომლებიც დაარსდა გამოცდილი და კარგად აღიარებული ხელოსნობით, როგორიცაა ტრადიციული სუფრის მწარმოებელი **LURJI SUPRA, ORKOLI Studio, Pesvebi Studio**. საქართველო ერთ-ერთია იმ მრავალ ქვეყანას შორის, რომელსაც პრობლემები აქვს მხატვრული რეწვის დარგების აღიარებასთან დაკავშირებით, რადგან ის სრულად არ არის გათვალისწინებული ქვეყნის საკანონმდებლო სტრუქტურაში, მაგრამ ფასდება როგორც **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა** და კულტურული ინდუსტრიის ნაწილი.




ჭიბის სახელმძღვანელოში
გაეცნობით მეტს



იტალია (*Anziani e non solo società cooperativa sociale*)

იტალიას აქვს დიდი ტრადიცია და მხატვრული რეწვის უზარმაზარი მემკვიდრეობა მრავალფეროვანი სექტორებითა და განვითარების პროცესებით. თუმცა, ოთხი რეგიონი, მკაფიოდ გამორჩეულია თავის ხელოსნობითა და რეწვით ტრადიციებით და ითვლება მხატვრული რეწვის ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონებად. ესენია Marche ფეხსაცმლის წარმოებით, მხატვრული კერამიკის წარმოება უმბრიაში, ტყავის ნაწარმი ტოსკანაში და მხატვრული მინა ვენეტოში. მაგალითად, მინის მძივების წარმოების ხელოვნება შეტანილია იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში. იუნესკოს მიერ აღიარებული კიდევ ერთი ხელობა არის ვიოლინოს დამზადების ტრადიცია კრემონაში. Confartigianato-ს მონაცემების მიხედვით, 2019 წელს 288,302 დარეგისტრირებულ მხატვრული რეწვის საწარმოში, 801,001 ადამიანი იყო დასაქმებული (Confartigianato (2019), “Laboratorio Artigianato artistico: imprese artigiane e addetti”). საწარმოები საკმაოდ თანაბრად არის განაწილებული სხვადასხვა სფეროებში - ლითონი, საკვები პროდუქტის წარმოება, ტანსაცმელი, ხის მხატვრული დამუშავება და ა.შ. გარდა ტრადიციული ტექნოლოგიებისა, ოსტატები დღეს იტალიაში ნელ-ნელა ახალი ტექნოლოგიებსაც იყენებენ. საკმაოდ აქტიურია 3D პრინტერის გამოყენება. აგრეთვე აქტიურად მუშაობს FabLab-ების ქსელი, ანუ ღია ციფრული წარმოების ლაბორატორიები, სადაც ნებისმიერ მსურველს 3D პრინტერების გამოყენებით შეუძლია დაამზადოს საკუთარი პროტოტიპი/



ჩიბის სახელმძღვანელოში გაეცნობით მეტს იტალიაში არსებული მხატვრული რეწვის მდგომარეობის შესახებ.





პორტუგალია (Aproximar)

ხელნაკეთობები პორტუგალიური კულტურული იდენტობის ძირითადი კომპონენტია. ხელნაკეთობების სხვადასხვა სახეობა უნიკალურია ქვეყნის თითოეული რეგიონისთვის, რაც განაპირობებს მრავალფეროვან გამოცდილებასა და ცოდნას. ყველაზე მეტად განვითარებულია შალის რეწვა; ხის მხატვრული დამუშავება; ჭურჭლის ხელნაკეთობები (თიხა); და ჩალის ხელობა (Crafts Innovation, 2014; Barrica, 2020). მაგალითად, სოფელი **Bisalhães** ცნობილია როგორც „ქოთნისა და ტაფის მწარმოებლების ადგილი“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი, სადაც მიმდინარეობს შავი ჭურჭლის წარმოების პროცესი. ხელნაკეთობა იუნესკომ 2016 წელს აღიარა, მაგრამ 2021 წელს იგი დაემატა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხას, რომელიც საჭიროებს სასწრაფო დაცვას, რადგან ხელობა დაიკარგება ცოდნის გადაცემის ნაკლებობის გამო. იუნესკოს მიერ აღიარებული კიდევ ერთი თიხის ხელობაა ესტრემოზის თიხის ფიგურების დამზადების ტრადიცია. სრულიად განსხვავებულია ძროხისთვის ზარების წარმოება - „ხელნაკეთიარკინისგან, რომელიც ცივად იჭედება კოჭზე სანამ ის არ მიიღებს თასის ფორმამდე“, 2020 წლიდან ასევე შეტანილია გადაუდებელი დაცვის სიაში. ზოგადად, ხელნაკეთობების ეროვნული რეესტრი, ხელმისაწვდომია CEARTE (Centro de Formação Profissional para o Artesanato e Património) ვებსაიტის საშუალებით, სადაც განთავსებული ინფორმაცია 3173 ოსტატის შესახებ. აგრეთვე ძალიან გავრცელებულია ტექსტილის რეწვა (1133 სერტიფიცირებული). ამას მოსდევს მეთუნეობა (484) და ხის მხატვრული დამუშავება (349). რაც შეეხება ტექსტილს, პროდუქცია განსხვავდება რეგიონების მიხედვით: Tapetes de Arraiolos; ბორდადოს დე ტიბალდინიო Bordados de Castelo Branco; (**CMCB**, 2023; **7Maravilhas**, n.d., **CITA**, 2017).



ჯიბის სახელმძღვანელოში გაეცნობით მეტს პორტუგალიაში არსებული მხატვრული რეწვის მდგომარეობის შესახებ.



რუმინეთი (Assoc)


რუმინეთი ძალიან მდიდარი ქვეყანაა მხატვრული რეწვის ტრადიციებით - იქნება ეს რელიგიური საგნების წარმოება, როგორიცაა მინაზე ან ხეზე ხატვრა, ტექსტილი, როგორიცაა ხალიჩები, ქამრები, ფარდაები და პირსახოცები, მრავალფეროვანი ხალხური კოსტიუმები, ხის ნივთები და ა.შ. კერამიკული ნივთების მრავალფეროვნება, დეკორირებული ხელნაკეთი კვერცხები... და მაინც, ყველა ეს ხელნაკეთობა გავრცელებულია რუმინეთის სხვადასხვა რეგიონში. თითოეული რეგიონი, როგორც წესი, სპეციალიზირებულია და დაკავშირებულია ერთი ან ზოგჯერ რამდენიმე სპეციფიური ხელოსნობის წარმოებასთან ან ტრადიციასთან. მარამურეს რეგიონი სპეციალიზირებულია ხის დეკორაციებში, ჩუქურთმებასა და ხის ეკლესიების აგებაში. ხის ეკლესიების სილამაზე და „მხატვრული სიმნიფის და ხელოსნობის მაღალი დონე“ აღიარებულია და შეტანილია რვა გამორჩეული ხის ეკლესიის სიაში - **მარამურეშის ხის ეკლესიები**, 1999 წლიდან **იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში** არიან დამატებული. იმავდროულად, მოლდოვა და ტრანსილვანია ცნობილია თავისი კერამიკითა და თიხით. მაგალითად, **ჰორეზუს კერამიკა** იმდენად უნიკალურია, რომ ხელნაკეთობა შეტანილია **იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში**. გარდა ამისა, მოლდოვა ასევე ცნობილია თავისი ტრადიციული კედლის ხალიჩების ოსტატობით, რომელიც ასევე აღიარებულია იუნესკოს მიერ 2016 წლიდან. გარდა ამისა, რუმინეთის თითოეული რეგიონი განსხვავდება ფერების, მასალებისა და ორნამენტის მრავალფეროვნებით, მათ შორის ხალხური სამოსიც. ისევ და ისევ, ტრადიციული **ტრადიციული ბლუზის ხელოვნება მხარზე ნაქარგებით (altiță)** აღიარებულია იუნესკოს მიერ.



Source: www.artandcraft.ro



ჭიბის სახელმძღვანელოში გაეცნობით მეტს რუმინეთში არსებული მხატვრული რეწვის მდგომარეობის შესახებ.



Source: expresdebanat.ro

- ხის მხატვრული დამუშავება
- სამკაული
- ტექსტილი
- მუსიკალური ინსტრუმენტები
- დეკორატიული ხელნაკეთობები
- ლითონის მხატვრული დამუშავება
- კერამიკა
- სხვა



პროფესიონალი

ოსტატების

შესახებ

ხის მხატვრული დამუშავება





ანტონიო პერეირა

ხის დამჭერი 📍 პორტუგალია

პატარა რომ ვიყავი, მამა მივლინებიდან დაბრუნებისას ყოველთვის ჩამოქონდა ხის მანქანები და სხვა ხის სათამაშოები. მას შემდეგ სულ მაინტერესებდა, მეც შევძლებდი თუ არა მსგავსი სათამაშოების დამზადებას. რამდენიმე წლის წინ ვნახე ერთ-ერთი ასეთი სათამაშო და ნივთით აღრფთოვანების ნაცვლად წავედი გარაჟში, რამდენიმე ხერხი და ლურსმანი ავიღე და ხის მანქანა გავაკეთე. როცა მივხვდი, რომ შემეძლო მსგავსი სათამაშოს დამზადება, ძალიან გამიხარდა. ეს იყო ჩემი პირველი მანქანა და ჩემი ხეზე მუშაობის დასაწყისი. ამის შემდეგ დავიწყე ძროხების გასაზიდი ვაგონების, სხვა მანქანების და სახანძრო მანქანების კეთება, რომლებსაც ბევრს ვყიდი. მე დავამზადე მანქანა, რომელიც შევთავაზე ილჰავოს მერიას, რომლითაც „Festival do Bacalhau“-ზე ვიასპარებუ. შევექმენი ნამუშევარი, რომელიც წარმოადგენს „Seca do bacalhau“ და შევთავაზე სამრეწლო საბჭოს. ხის ხელნაკეთი ნივთების დასამზადებლად, ხის საჭრელად, ჩვეულებრივ, ვიყენებ ხერხებს.

“

ხელნაკეთი ნივთები
ჩვენს წინაპართან
გვაკავშირებს





ქრისტინე სესიონი

ხის/პოლიქრომული ქანდაკების რესტავრატორი

ბელგია

როგორც ხის/პოლიქრომული ქანდაკებების რესტავრატორი, ჩემი საყვარელი იარაღია: ანოქსია (ჟანგბადის ნაკლებობა ქსილოფაგური მწერების განადგურების მიზნით), კონსოლიდენტის ინექცია ჭიებით შეჭმული ხის გასამაგრებლად, ბინოკულარული მიკროსკოპი, მინი სკალპელები მრავალი გამოყენებისთვის და ათასი ფუნჯი მკურნალობის ბოლოს ბოლო შეხებისთვის.

ENSAV-La Cambre-ის (ბრიუსელი) ხუთწლიანი სწავლისა და IR-PA-ს(მხატვრული მემკვიდრეობის სამეფო ინსტიტუტი, ბრიუსელი) ერთწლიანი სპეციალიზაციის კურდის დასრულების შემდეგ ვმუშაობ პოლიქრომული ხის სკულპტურების რესტავრაცია-კონსერვაციაზე. ჩემი სამუშაო ადგილი იცვლება პროექტების მიხედვით (ქანდაკება, რომელსაც რესტავრაციას ვუტარებ). ასე რომ, ხან ჩემს სტუდიაში ვმუშაობ, როცა ქანდაკებები უფრო პატარა ზომისაა, ხან ეკლესიებში, მუზეუმებში და ა.შ... რესტავრაციის ზომისა და ხასიათის შესაბამისად, ხან მიკროსკოპს ვიყენებ, ხან კი ძალიან მაღალ ხარაჩოებზე ვარ შემდგარი.

პრაქტიკულმუშაობის დაწყებამდე ვატარებ სიღრმისეულ კვლევებს და ვაკეთებ ლაბორატორიულ ანალიზებს. იგი კეთდება ობიექტის ისტორიის გასაგებად, რათა რესტავრაცია სწორედ წარიმართოს. ტიპური ანალიზი მოიცავს პიგმენტების და ძველი შემკვრელების ანალიზს, რენტგენის სხივებს, ხის დათარიღების მიკვლევას, პოლიქრომის ფენების გამოვლენას. რესტავრაციის დროს ასევე მჭიდროდ ვთანამშრომლობ ხელოვნების ისტორიკოსებთან.





Source: DirectMM

ხეზე ჭრის 10 წელზე მეტი გამოცდილება მაქვს. ჩემს ნამუშევრებს შორის შემოქმედითაა ჩამოვთვალაო მარამურის კარიბჭეები, ტერასები, პავილიონები ტრადიციული მარამურის სტილში, მარამურის ტრადიციული მოტივებით მოჩუქურთმებული სვეტები, ბაღის ორნამენტული ქანდაკებები და მრავალი სხვა ხის ნამუშევარი. გარდა ამისა, ვაკეთებ პატარა ნამუშევრებსაც, მათ შორის, ორნამენტულ ბოთლებს, რომლებიც შიგნიდან მოჩუქურთმებულია ხის ნაჭრებით; ჭურჭელს და სხვადასხვა მოჩუქურთმებულ სუვენირებს. ჩემი ისტორია ბავშვობაში დაიწყო და ხის სიყვარული მამისგან და ბაბუისგან მოდის, რომლებიც პროფესიით დურგლები იყვნენ. ბავშვობაში მათ გვერდით ვიჯექი და ხის დამუშავების პროცესში ვეხმარებოდი. ამის შემდეგ ვცდილობდი გამემეორენინა ის რასაც მამაჩემი აკეთებდა. ასე დავეუფლე ამ ამ ხელობას. როცა გავიზარდე, ვცდილობდი ჩემი ფანტაზიის მიხედვით შემექმნა სხვადასხვა ნამუშევარი. შემოქმედებითი პროცესი იწყება ხის ნაჭრით, რომელიც დამკვეთის სურვილისამებრ, სხვადასხვა კუთხით იჭრება, იწყებ მის ძერწავს. დასრულებულ ნამუშევარს ზედაპირზე დამცავი ფენა ედება, რომელიც დამზადებულია სელის ზეთის ან წყლისგან დამცავი სხვა ზეთებისგან

იოაკიმ-მიჰაი რუს

ხის მთელელი  რუმინეთი

მიაქციეთ მზერა
ბუნებას და
წარმოსახვას მიეცით
შესაძლებლობა





მე ვარ Icomos Wallonie Brussels-ის, Union des Artisans du Patrimoine-ისა და Ecobuild Brussels-ის წევრი. ჩემი დღევანდელი ცოდნის დასაგროვებლად, გრძელი გზა გავიარე... დავიწყე Crepac-ის მიერ ორგანიზებული შეგირდობის პროგრამით და სწავლება ხუროს კომპანიაში გავაგრძელე.

დღეს მე ვარ 1995 წელს დაარსებული Cabay სადურგლო კომპანიის წევრი. კომპანია სპეციალიზირებულია ისეთი ხის პროდუქციის რესტავრაციაში როგორიცაა ჩარჩოები, კარები და ა. ჩვენი დიდი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ძველი ნივთები და დამთალიერებლს ქონდეს შესაძლებლობა დატკბდეს ამ ნივთის სილამაზით

ოლივერ კაბაი

ხუროს რესტავრატორი  ბელგია



“

ჩვენი მიდგომა ეკოლოგიისადმი აისახება წრიულობის პრინციპში: ძველის აღდგენა და არა შეცვლა, როცა ის არ არის აუცილებელი. ეგზოტიკურ ხის მასალისგან განსხავებით, ჩვენ ყოველთვის ვანიჭებთ უპირატესობას სერტიფიცირებულ ადგილობრივ ხეს





ივ პიერარტი

ხის კვეთის/დიზაინერი  ბელგია



მე დავტოვე კომპიუტერის სამყარო, რათა ხის სამყაროს მივუძღვნა თავი. კაბინეტის დამზადებისა და ხეზე კვეთის ტრენინგს გავყევი ბრიუსელის დიდეროს ინსტიტუტში. ავტოდიაქტურად, მეც ვნებივრობდი ხის მოხვევით, განსაკუთრებით სეგმენტური შემობრუნებით. ხის მოსახვევის ძირითადი ხელსაწყოებია ხის ხორხი და ხელის ხელსაწყოები.

ეკოლოგიურად პასუხისმგებელი მიდგომის მიზნით, ჩემი შემოქმედების უმეტესობაში გამოყენებული ტექნიკა არის მყარი და/ან ღია სამუშაო სეგმენტური შემობრუნების ტექნიკა პროპორციული ან ფიქსირებული მანძილით. ეს ნიშნავს, რომ ობიექტი იყოფა რგოლებად და ეს რგოლები დაყოფილია სეგმენტებად. მყარი სეგმენტირებული შემობრუნებისთვის, სეგმენტებს შორის მანძილი არ არის, ხოლო ღია სამუშაოებისთვის, ეს მანძილი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან პროპორციული, თითოეული რგოლის დიამეტრის მიხედვით.

“

მივუალხოვდი რა ორმოც
წელს, ხისადმი ვნება
აღმოვაჩინე



საიუველოდნობის სახე






ფლოარე რომანი

სამკაულები და მაქმანები

 რუმინეთი



არასოდეს დაივიწყო საიდან
მოხვედი, დაუბრუნდი შენს
ფესვებს და პატივი ეცი შენს
ტრადიციას და კულტურას



ჩემი ნამუშევრები გულისხმობს ქსოვას, კერვას, დაჩითვასა და ქარგვას. ქსოვისა და კერვის ხელოვნების შესწავლას დიდი დრო სჭირდება, მაგრამ მთავარი ერთგულება და მოთმინებაა.

“ფრივოლიტის” (Frivolite) ტექნიკით მუშაობა ბესარაბიაშინორმალის მასწავლებელთა სკოლაში ვისწავლე. დროთა განმავლობაში ვისწავლე ტრადიციული მარამურული ყელსაბამების დამზადება. რუმინეთში ეს ტექნიკა გავრცელებულია მე-19 საუკუნიდან, სიმის საშუალებით მზადდება მაქმანი, რომელსაც გამოიყენებდნენ სახლის ინტერიერი გასაფორმებლად: სუფრის ტილოები, დეკორატიული მაქმანი, სხვადასხვა ფორმისა და ფერის. მე ასევე ვმუშაობ “cipcă”-ს სახლების ინტერიერის გასაფორმებლად, ვამზადებ ტანსაცმლის საყელოებს. “ფრივოლიტის” ტექნიკა ევროპაში ცნობილია მე -18 საუკუნიდან, დღეს ისწავლება რუმინეთის სკოლებში.



ჯორჯია კამბურიდო

სამკაულების მწარმოებელი

კვიპროსი



ვარ იველირი და ინსტრუქტორი 14 წლიანი გამოცდილებით. მკვმნი უნიკალურ, ხელნაკეთი სამკაულებს, რომლებიც ერთდროულად ლამაზი და ფუნქციონალურია. მე ვმუშაობ სხვადასხვა მასალებთან, მათ შორის ბუნებრივ და მდგრად მასალებთან, ასევე ვიყენებ მავთულს, მძივებს, თხევად მინას და მინის თვლებს. ხელსაწყობები, რომლებსაც ვიყენებ ჩემი ხელსაქმისთვის, გარდა საკუთარი ხელებისა, არის სხვადასხვა ქლიბები და საჭრელები. სამკაულების დამზადების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხელებაა. ისინი საშუალებას მაძლევენ მასალებით მანიპულირებას და მათთვის სასურველი ფორმისა და დიზაინის მიცემას. ასევე მჭიდროდ ვთანამშრომლობ სხვა ხელოსნებთან, როგორიცაა ტანსაცმლისა და აქსესუარების მწარმოებლები, რათა შევქმნა სამკაულები, რომლებიც მათი შემოქმედების გაუმჯობესებას შეძლებენ.

მიყვარს ჩემი საქმე და ვცდილობ მაღალი ხარისხის, ლამაზი სამკაულის შექმნას, რომლიც მის მტარებელს სიხარულს მიაანიჭებს

ხელოსნობა არ არის ნიჭი, არამედ უნარი, რომლის სწავლა და სრულყოფა შესაძლებელია მონდემებითა და საქმის ერთგულებით.





სამკაულებს ვქმნი პოლიმერული თიხისგან, ნატურალური ტყავისგან და შეღებილი აბრეშუმისგან. მთავარი მასალა, რომელსაც მე ვიყენებ არის პოლიმერული თიხა, რომელიც თიხის თანამედროვე ალტერნატივაა. მას ნეოლითის ხანიდან იყენებდნენ ორნამენტებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაქმნელად. ეს არის ელეგანტური და გამომწვევი მასალა, გამძლე და გრძელვადიანი. ასევე ვმუშაობ ნატურალურ ტყავზე, რომელსაც სპეციალურ მაღაზიაში ვყიდულობ, ჩვეულებრივ, ფეხსაცმლის ინდუსტრიის ნარჩენებს ვიყენებ. ნატურალური აბრეშუმი, რომლითაც ჩემს ზოგიერთ სამკაულს ვქმნი, ქსოვილების მაღაზიებიდან ვყიდულობ.

პოლიმერული თიხით დავინტერესდი და ექსპერიმენტი ჩავატარე 45 წლის ასაკში. ეს მოხდა დიდი ოპერაციის შემდეგ, რომელიც საჭიროებდა ხანგრძლივ მკურნალობას სახლში და რომელმაც მთლიანად გამომიყვანა კომფორტის ზონიდან. სასწრაფოდ მჭირდებოდა ჰობი და დავინწყე. ერთი სიტყვით შემიძლია აღვწერო სამუშაო პროცესი: გართობა!

პავლინა ბორისოვა დუდინა

იუველირი  ბულგარეთი

მე მჯერა, რომ
დღესდღეობით
შესაძლებელია საკუთარი
თავის გაუმჯობესება,
თუ შენს საქმეს გულს
დაუთმობთ და მუდმივად
ეძებთ ინფორმაციის ახალ
წყაროებს!





ბავშვობაში არ იყო კარგი გოგოსთვის არაფერი რომ არ გაეკეთებინა. ყველა ახალგაზრდა გოგონამ უნდა იცოდეს საქორწინო ორნამენტების ქსოვა, კერვა და დამუშავება. ბებიამ დაამიძღვრეს სართავი, მომცა ნემსი და ძაფი ხელში და დავიწყე დუილისა და სუფრის კეთება. შემდეგ მან მასწავლა ქსოვა “ომი“-ის დროს. ამგვარად, დავიწყე ამ ხელობის სწავლა, რომელსაც ვვარჯიშობდი გატაცებით და შემდეგ როგორც ოსტატი. მე მჭირდება სხვადასხვა ზომის სამკერვალო ნემსები, ტექსტილის ძაფები, მძივები და მძივის სამაგრი. მარამურეშის ოლქი ერთადერთი ადგილია ქვეყანაში, სადაც ორნამენტებს ქსოვდნენ. ქალები მათ კისერზე ატარებდნენ დღესასწაულებზე ან მათი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან დღეს, ქორწილში. ჩემი სახელოსნო ამ მიზნით მოვარყე, რომ გამახსენდეს ჩვენი ბები-ბაბუების სახლები, რომლებიც სადამობით იმ ლამაზ ნივთებს აკეთებდნენ, რომლებიც ამშვენებდა მათ სახლსაც და სულსაც.

“


იცხოვრე ბუნებასთან
ურთიერთობაში და
გაოგნებული იყავი მისი
მრავალფეროვნებითა და
სრულყოფილებით



როდიკა საბადისი

ქარგვის და სამკაულების
დიზაინერი

 რუმინეთი





პროფესიით ტექსტილის ინჟინერი ვარ. დავამთავრე სოფიის ტექნიკური უნივერსიტეტი. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ტექსტილის საწარმოში, როგორც მოდელების დიზაინერი, ტექნოლოგი და მარკეტინგის მენეჯერი. მომწონს ხელოვნება. ფოლკლორის მოყვარული ვარ. სტუდენტობის ასაკიდან ჩემი ჰობი იყო ტანსაცმლის, სამკაულების, აქსესუარების და დეკორაციის ინდივიდუალური მოდელების დამზადება. მე ვენევი ბულგარულ ხელსაქმის პოპულარიზაციას. მიყვარს ყვავილები და მაინტერესებს მათი დეკორაციისთვის გამოყენების სხვადასხვა ტექნიკა.

ბოლო წლებში შევექმენი ეპოქსიდისა და ყვავილების სამკაულების დამზადების საკუთარი ბრენდი, SilvieArt და ბულგარული ნაქარგობების ბრენდი SilvieBiju. ვმონაწილეობ სხვადასხვა გამოფენებში ბულგარეთში. ეპოქსისთან მუშაობის ტექნოლოგიის სპეციფიკის, ასევე მისი ტოქსიკურობის გამო, ტრენინგების ჩატარება შეუძლებელია. მაქვს მაგისტრის სერთიფიკატი სამკაულების დამზადებაში.

სილვია ვასილევა

იუველიერი  ბულგარეთი



ვენევი ბულგარულ ხელსაქმის პოპულარიზაციას. მიყვარს ყვავილები და მაინტერესებს მათი დეკორაციისთვის გამოყენების სხვადასხვა ტექნიკა



ბაქსტი





დეიდას სტუმრობისას, ვუყურებდი ხოლმე თუ როგორ აკეთებდა მაქმანებს და სწორედ ამ მიზეზის გამო 13 წლისას მასთან დავინწყე მაქმანების დამზადების სწავლა, რომელსაც დღემდე ვაგრძელებ. წლების განმავლობაში ვაუმჯობესებდი ჩემს ქარგვის ტექნიკას, ვსწავლობდი საუკეთესო ოსტატისგან. ჩემი ცხოვრების მძიმე და სევდიან პერიოდში, მიმიწვიეს ბიბლიოთეკაში ხანდაზმულთა ჯგუფში. ჯგუფმა დაიწყო ზრდა და დღემდე ემატება ახალი წევრები. ამასობაში ათი წელი გავიდა.


მასალებს, რომლებსაც ვიყენებ არის მაკრატელი, თითი, საქარგავი ნემსი და მაქმანის ნემსები, ხაზების რაოდენობიდან გამომდინარე. მხოლოდ ქვილთის ძაფებია სქელი, სხვა შემთხვევებში, ძაფები თხელია.

ალზირა მანუელა კარაპიკანო

ნაქარგებისა და მაქმანის
დამამზადებელი 📍 პორტუგალია



ხელსაქმეს 10 წელზე მეტია
რაც ვაკეთებ, ქარგვის დროს
თავს მშვიდად ვგრძნობ,
იგი მაძლევს შთაგონების
შესაძლებლობას





ბეატრიზ ონოფრე

ნაქარგებისა და მაქმანის ოსტატი

📍 პორტუგალია

მას შემდეგ რაც თავი მახსოვს, ყოველთვის მიყვარდა კერვა, რომელიც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თუმცა იყო დრო, როცა პირადი მიზეზების გამო მომიწია ამ საქმის შეწყვეტა. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის დიდი სიყვარული მქონდა ხელნაკეთი ნივთებისა და ნაქარგების მიმართ, ამიტომ ვაგრძელებდი იმას, რაც მომწონდა და ეს მახარებდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ცხოვრებისეული ვითარებიდან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო მეტ დროს ვუთმობ ამ ხელოვნებას.

რაც შეეხება შემოქმედებას, სასურველი სიმაღლიდან გამომდინარე, ძაფები უნდა გაჭრათ, შემდეგ დაამატოთ ახლები და შექმნათ საერთო დიზაინი. მე მსიამოვნებს უფრო რთული და რთული საქმეები.

მაქმანის და ქარგვის კეთება
გონებისთვის კარგია, მახალისებს!
პატარაობიდანვე მიყვარდა ამის
კეთება.






კრისტინა ტალანკა

კრეატიული კერვა  იტალია



ამ საქმის მამოძრავებელი ძალა
არის ვნება, მონდომება და
შეუპოვრობა



ყველაფერი იწყება ჩემი ტანსაცმლის კერვის გატაცებით, თბილი, ძლიერი, თვალისმომჭრელი ფერებით.

როდესაც გადავწყვიტე, რომ სხვებისთვისაც მსურდა შემექმნა, დაიბადა ჩემი ბრენდი Lecris, რომელიც ეფუძნებოდა გემოვნების, სილამაზის, ქსოვილის, მოდელების ძიებას და მათ ვნებით და მოთმინებით შეკერვას. მომწონს რომ ვიწყებ მონახაზით, იქნება ეს კაბა თუ რომელიმე აქსესუარი, რასაც მოყვება, სხვადასხვა ზომების თარგების დამზადება, ქსოვილების შერჩევა, გამოჭრა და ბოლოს კი შეკერვა.

მე მინდა ვთქვა, რომ ჩემი სამოსი არის კომპრომისი ტრადიციასა და ინოვაციებს შორის, სამოსი, რომელიც არის მოდური, მაგრამ გამძლე და რომელსაც მაღაზიებში ძნელად იპოვით. ჩემი პროდუქცია არის უნიკალური და ელევანტური ტანსაცმლის შემოქმედება, რომელიც ასახავს ჩემს პიროვნებას და ჩემს შემოქმედებას.



ხუნწარია

ტექსტილის დიზაინერი  საქართველო

“


არასოდეს დაიბაროთ სწავლა, ცოდნისა და პროფესიული უნარების გაღრმავება და ზოგადად იყოთ კარგად განათლებული. ეს მხოლოდ შემოქმედებით საქმიანობაში დაგეხმარებათ და ეს პროცესი მარადიულია. იყავით მომთმენი და არ დანებდეთ პირველ მარცხზე. იმუშავე და საბოლოოდ წარმატებას მიაღწევ.

მე ვარ ეკა ხუნწარია. ვარ ტექსტილის დიზაინერი. ჩემს საქმიანობაში ვიყენებ ბატიკის ცხელ და ცივ ტექნიკას. თუმცა, 26 წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, შევიმუშავე ჩემი საკუთარი ტექნიკა, რომელსაც ვუწოდებ “ხატვას აბრეშუმზე”, როდესაც აბრეშუმზე ნახატს ტექსტილისა და აკრილის საღებავებით ვხატავ, ფერებს ვასწორებ ცვილით და პარაფინით, ცვილისგან დამცავი ხაზების გამოყენების გარეშე.

